



ଗାଢ଼ିଯେଲ ନୋହିବୁଥିଲେ ଏ  
ସ ଜନ୍ମ ଫୁଲିବାନ୍ତିରେ

ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କ ଶ୍ରେଣୀଙ୍କରୀଙ୍କ

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପ୍ରକାଶନ ମେଟ୍‌ର୍ ଲିମଟ୍‌ଡ୍

କୁମ୍ଭେଦିଆ ଜୀତ ହର୍ମ୍ଭେଦିଯାତ

ବାତାର୍ଗମନ ସମ୍ବେଦିନିଲାଙ୍କ

ଫାଗୁନ ପ୍ରକାଶନ ମେଟ୍‌ର୍ ଲିମଟ୍‌ଡ୍

ଏହି ପ୍ରକାଶନ ମେଟ୍‌ର୍ ଲିମଟ୍‌ଡ୍ କରିଛି

ଏହି ପ୍ରକାଶନ ଏହି ପ୍ରକାଶନ ମେଟ୍‌ର୍ ଲିମଟ୍‌ଡ୍

## მომენტები ურნი:

ოსკან შეტროგიჩ ირასაწოვ  
 მართა, — ოსკან პეტროვიჩის ცოლი  
 გეგელა, — ოსკანას ქალი  
 ხამფერა

ოსკანის იმიტოლტც მაყმა

თათო

გერასიმ იაკულიჩი

ზანგაგოვ

ჩარხაწოვ

ბამბაკოვ

კირაკოზა

ვექილი

მიღდისოვა

ლამაზი მანდილოსანი

გონჯი, მდიღრული ჩატმული მანდილოსანი

გონჯი, მდიღარი მანდილოსანი

გქიძი

ავაზაკი შეილი

დიდი ეშმაკი

ეშმაკი მთავარი

ეშმაკები, აგისულები, კოჭოხეთის მხლებელი.

მოქმედება სწაომოებს ჯოჯოხეთის ბანზე, ოსკან შეტროგიჩის სახლში და ჯოჯოხეთში.

დამცენა და (ქვემით მცირებულ ფოტოს) შეცვლილ ასე ხე  
და ქვემით მცირებულ ფოტოს) შეცვლილ ასე ხე  
სცენა წარმოადგენს ჯოვანეთის ბას  
-ფრინ. მნიშვნელოვანი ისებით ცეკვე სცენა (ძირი უნდა  
-ინონ ჰქომ სპარსული (შეცენა) სცენა სცენა (უცეცენი)  
-ეცენ. ამა უნდა გამოსვლა შირველი და მარცხენას  
-და დიდი ეფექტი და დარბაზის დამზადების აღმარცხების  
(შეცენა, უსცენა, უმაკება, ხრუნვა ავთ უცეცენი და

ასეან. (ეშმაკებს გულსხლობა) ვა! დაგწყვევლით  
ღმერთმა ხელს არ აიღებთ? რა გინდათ ჩემგან? (ეშმაკე-  
ბი და აფი სულები მის წინ ხტიან, გამოურკვევლათ ხმაუ-  
რობენ და ჩქარა სწევეტები) ეს საღ მომიყვანეს ამ წყევ-  
ლებმა!.. (გაოცებული აქეთ იქთ იურგა) აი დავიხრჩობი  
კიდეც, ოქვენმა მზემ... (ჭარს ჭენოსავს) ვა, ეს რა კუ-  
პრისა და ნავთის სუნი მოდის... უჟ! ეს რა ცხელა...  
(ჯიბიდან ლურჯ ხელსახლცს იღებს და თფლს იწმენდავს)  
ოქვენმა მზემ არაფერი არა მშველის. (ერთბაშაო შეხტე-  
ბა და ფეხებზე იურგა) ვაიმე, დედავ, უეხები მეწვის. (ძა-  
რდან სხვა-და-სხვა გვარი ეშმაკები ამოდიან, კისკისადებენ და  
ისეგ უკან ცვივდებან) ეს რა არის შენი პირიმე, სიზმარ-  
ში ვარ, თუ ცხადათ! სწორეთ ეშმაკებსა გვანან, თქვენ-  
მა მზემ, ეს წყეულები (შეზინებული აქეთ-იქთ ეხლება; მა-  
გასხლოვდება ერთ ძეგლს, რომელიც მას თავს უკრავს) ეს  
რაღაა? გამარჯობა შენი... (ძეგლი კიდევ თავს უკრავს)  
გამარჯობა შენი მეთქი, ქეიფში როგორა ხარ? (ძეგლი  
თავს უკრავს) აბა, თუ ხმა ამოილოს! ეი, ქეიფში როგო-  
რა ხარ? ქეიფში? (ძეგლი ისევ გაუნძრეველად დგას) ეჭ.,  
ღრმალ... (მიუახლოვდება სხვა ძეგლს, რომელიც თავს უკ-  
რავს მას) ესენი ვინ არიან? ღმერთო. (ძეგლს) შვილობა  
შენი ნახვა. თუ შენი სული გიყვარს, ერთი მითხვა, მე

აქ რას ვაკეთები? (ძეგლი კიდევ თავს უკრავს) ვა, ღმერთს ხმა ჩაუწყვეტია შენთვის? (ძეგლი ისევ თავს დაუკრავს და გაჩერდება) ეჭ! ესეც ღრუშმალი ყოფილა. (ფეხებს იძერ-ტეატრი) ოჭ! ოჭ! (ეშმაკებს) წყეულებო, ეს საღ მომი-უვანეთ. (ეშმაკები სისარულათ მის წინ ხტიან, ორი ჰატა-რა ეშმაკი შეატება მხრებზე, ერთაც ლაჯებ შეა უძღრება) გა-გიერბულან, ეს წყეულები?! (მათ ხელიდან გაუსხლობა) რა გინდათ ჩემგან, ძმებო? (აფურთხებს) ფუ! ეს რა ვთქვი, საღაური ძმები არიან?

ეშმაკები. (ხტიან) ძმები ვართ, ძმები ვართ, ძმები ვართ. (ორმოდიან ამოდიან კიდევ ეშმაკები და ამბობენ) შენი ძმანი ვართ, შენი ძმანი ვართ. (უკანასკნელად ამოსული ეშმაკები ისევ ორმოში იმაღლებან)

ასკან. აი თქვე ბრიყვებო, საღაური ძმები ვართ!  
დადი ეშმაკი. მაშ რანი ვართ, თუ ძმები არა ვართ!  
ამის შემდეგ სულ ერთათ უნდა ვიცხოვროთ.

ასკ. (სიცხისა და სუნისაგან შეწუხებული) აი თქვე სულელებო, გაკიერბულხართ? თქვენთან რა მაქვს საც-ხოვრებელი. პკუა ყველისა და პურისთვინ ხომ არ შე-მიტანებია, რომ ჩემი ცოლ-შვილი დავტოვო და თქვენ-თან ვიცხოვრო? (ეშმაკები იცინიან)

დად. ეშმ. (სიცილით) რა ცოლ-შვილი; შენი ცოლ-შვილი ამის შემდეგ ჩენა ვართ. (ზატარა ეშმაკები კიდევ შეახტებან ასკანს შერებზე და ზედ ასხდებან)

ასკ. (ზირჭვას იწერს) ღმერთო შეგცოდე! (მის მხრებიდან ეშმაკები ძარს ცვივიან) გამეცალეთ მეთქი, წყე-ულებო! (დიდ ეშმაკს) როგორ თუ ჩემი ცოლ-შვილი თქვენა ხართ!

დ. ეშმ. ჰო! მაში იძერეთ ჩინოს შეი იძერე (მას მუშა-ობის მიზანით იძერებან იული იძერ ცო დები იძერ)

ასკ. რისთვის?

დ. ეშმ. მისთვის, რომ შენ მოკვდი და შენმა ცოლოებში ჯოჯოხეთში გამოგამწესეს.

ოსკ. მოკვდი?!

დ. ეშმ. დიალ, ეხლა ჩვენ ვიმუოუებით ჯოჯოხეთის ბანზე.

ოსკ. მაშ მოკვდი? | (ტირილით) ვაი მე, მართაჯან! (ხელსახლც თვალებზე შიდების. ეშმაკები იცინიან. ოსკანა გონის მოდა) როგორ თუ მოკვდი? რას მიჰქარავთ, თუ მოკვდი, მაშ როგორლა ვლაპარაკობ?

დ. ეშმ. ეგ შენ აღარა ხარ!

ოსკ. ვა, როგორ თუ მე არა ვარ, მაშ მე ოსკან პეტროვიჩი არა ვარ?

დ. ეშმ. (სიცილით) შენ ოსკან პეტროვიჩის სული ხარ.

ოსკ. (გაგიშებული აქეთ-იქით იუურება) ვაი მე, ეხლა კი მესმის, მშვიდობით ცოლო და შვილო... მაშ ჩვენს ქალაქს აღარა ვნახავ?

დ. ეშმ. არა, მორჩა შენი საქმე.

ოსკ. არა?! (ხელებს იძერტეავს) პრიშჩაი თიფლის... (ტირილით) ახ! ჩემო მართაჯან, ნეტავ ეხლა მანდ რას აკეთებ?

დ. ეშმ. აი რას აკეთებს, აბა უკან მიიხედე. (სცნაზე ფარდა აიხდება და გამოჩნდება ოსკანას სახლი, საღარ შეგ ტანისამოსით სხედან მისი ცოლი მართა, ქალი გამგდა\*) და სხვა მგლოდიარები)

\*) ეს პირი გამოყვანილია ამავე ავტორის, გ. სუნდუკიანცის, ვოლევილში: „დამის ერთი ცხვირი ხეირია“.

კამოსვლა მეორე ფონჯრზე მიმდინარეობს.

ასკანა, ეშმაკები და სცენის სიღრმეში: მართა, პეტელა,  
მგლოვარები და მერე ხამფერს \*)

მაჟთა. (ტირილით) ჩემი ფაშავ და დოროშავ, ოსკან  
ჯან! ჩემგან გამწყრალი სად მიღიხარ, ოსკანჯან! თუ  
გიყვარვარ, ერთი ხმა გამე, ოსკან ჯან.

თსკ. (ტირილით) აქა ვარ, აქა, მართაჯან. საბრა-  
ლო ჩემთ ცოლო, თმებს ბევრს დაიგლეჯავ, მაგრამ ვე-  
რაფერს ვერ გააწყობ.

მარ. (ტირილით) შენს სიგდე-სიგანეს ვენაცვალე,  
ოსკან ჯან! შენს ლოცვის მოყვარულ ჯანს ვენაცვალე,  
ოსკან ჯან! ანგელოზებთან ხარობ, ოსკან ჯან!

ଅକ୍ଷୟ, (ପ୍ରିଂରିଜ୍‌ନାମ) ରାମଗୋପ ଏଣା, ଅମାତାପ୍ର କ୍ଷେତ୍ରକୁ ଦା!  
ମହାନ୍. (ଗ୍ରାନ୍‌ଟାରିକ୍‌ମନ୍‌ଡଲ୍‌ସ) ମାମା ହେମି ମନମିଳିତକୁ, ଲ୍ୟାଙ୍କାନ ଜାନ!  
ଶ୍ରୀରାମ ରାମ କ୍ଷେତ୍ରକୁ ପାର୍ଵତୀ ପାର୍ଵତୀ ପାର୍ଵତୀ ପାର୍ଵତୀ ପାର୍ଵତୀ  
ଦେଇ ହେମିଶାପ୍ର ହେମ ମାଘଗୁରୁତ ଏକାପ୍ରାଣୀସ.

କ୍ଷେତ୍ର ମାତ୍ର ହୁଏ ଥିଲା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କ୍ଷେତ୍ର ମାତ୍ର ହୁଏ ଥିଲା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ხამოვნა. (ქათიბა დახურული შემოდის მგლოვარებთან) ახ! ოსკან ჯან და ვის ოსკან ჯან! ოქროს კაცო, ჩემი  
ძირის მისამართის და მისამართის გადასაცემი და მის მე

\*) ეს პირი გამოყვანილია ამავე ავტორის ცოდნის „ხათა ბალა“-ში.

ოსკან ჯან! აბა ერთი ხმა გამე, ოსკან ჯან! შენს ტკბილ ხმას ვენაცვალე, ოსკან ჯან! ადეგ მანდედან, ოსკან ჯან! შენს მაგივრათ მე ჩავწევ, ოსკან ჯან! (თსკანის თავს იქნევს) შენს მორთულ ჯანს ვენაცვალე, ოსკან ჯან.

უგელა მგლოდიარებრ. (ტირილით) ოჰ! ოჰ! ოჰ!...

თსკ. აქ უყურე, აქა!.. ის ჩემიც ცოლი და ქალი რომ ტირიან, ვიცი რომ გული ეწვით; მაგრამ საკვირველი ის არის რომ წყეული ხამფერაც ტირის ჩემზედ... საიქიოს ჩემს სისხლსა სვამდა, ეხლა კი მითომა არაფერი... ოჰ! ოჰ! ოჰ! რა ცრუები არიან! ხამფერ, ხამფერ, იცრუე მაგ ქვეყანაში, აქ შენთვის კუპრის ქვევრი მზათ არის. (ფარდა ეშვება, მგლოდიარები იფარებიან)

### გამოსელა მესამე

#### თსკანა, გმმაპები

თსკ. (უგან იუგურება) ვაიმე!.. (დიდ. ერმაკი) ერთიც, ერთიც...

დ. ემმ. (იცინის) ჰა! ჰა! ჰა!

თსკ. (ტირილით) ვაი შენს თავს, ჩემო მართავ ჯან! საბრალო ჩემო კეკელ, დაიწვით, დაიხრუკეთ, თქვენ მანდ და მე აქ. (დიდხანს ტირის, მემრე ერთბაშათ ახვეჭებს) ოჰ! ოჰ! ვაიმე ვიხრჩობი, ნავთისა და კუპრის სუნი ყელში მეტა. (ჭავერსა ჭუნასავს) უფრო ბევრი გოგირდის სუნია... ოჰ! ოჰ! ოჰ!...

დ. ემმ. (სიცილით) არა უშავს რა, შეეჩვევი.

თსკ. ვა, ამას როგორ შევეჩვევი, აი ვიხრჩობი კი-დეც.

დ. ემმ. რას ამბობ, ოსკან პეტროვიჩ, მაშ ქვემოთ

რომ ჩახვილე მაშინ რას იტყვი?

დაქ. განა იქ ამაზე უარესია?

დ. ეშმ. უარესია?! აბა აქ უყურე (დანიშნულ ალ-გიდან ერთხაშათ ალი ამოვარდება).

ასპ. (შემინებული უკან იწევს) ვაი-მე! ეს რა ვნახე?!

დ. ემ. ჯერ ეგ რას გიკვირს, ზოგი მერე ნახე!

କୁଳାଙ୍ଗ. (ତେଣୁଣିତ) ରାତ୍ରି ଗିନ୍ଦା ମୋଘୁରେ, ଲାଲାନାନ୍ଦ କି  
ପ୍ରେରାନ ଲାମିବସେନିତ.

დ. ემმ. რა უნდა მოგვცე, თავით ფეხამდე ჩვენი  
ხარ და ჩვენი. მთელი ქვეყნის ოქრო და ვერცხლიც  
სულ ერთიანათ ჩვენია... მაგრამ ნუ გეშინიან, შენ ის-  
რე არ გაწვალებო, როგორც სხვებს. შენ კიდევ ბედნი-  
ერთაგანი ხარ და შენისთანები ეხლანდელ დროში ძალი-  
ან კოტანი მოდიან.

თსკ. მაშ ჩემი სახული რა არის? ერთი მითხა-  
რით.

დ. ეშმ. მაგრას განაჩენი ეშმაკო-მთავარის ხელშია, მაგრამ ჩვენა გვვონია, რომ შენთვის დიდი სასჯელი არ არის დაინიშნული. შენი სასჯელი ის იქნება, რომ დღე-ში ორჯელ ანთებულ ცეცხლში ჩაგაფდებენ, მემრე ორ-ჯელაც დამდრაპ ტყვიაში გაბანავებენ.

ကျော် (၆၁၄၃) ဆာမာ ဂါပ္ပာနဲ့၊ ဒုတေသန အလာဖျော်ဝါဒ၊  
 (၄၀၉ ဤများ) ၁၀ ရွှေ ပရိုက္ခာဒေ၊ ရွှေနာ၊ ပြေ မြေသွားလွှာ။

დ. ეშმ. (სიღილით) რას ამბობ, თუ კან პეტროვიჩ, სული მოკვდება! სული უკვდავია.

თავ პო! ეგ კი მართალია, ვაი თქვენ ჩემო ცო  
დვებო! (სიცხისა და სუნისაგან შეწებული) მაგაზე უა-  
რესი წვალება კიდევ არის?

დ. ეშმ. მაშ არ არის! აბა მოღი ნახე! (აჩვენებს სხვა ადაგს, რომელიც ერთ წამს ისსხება და უფრო დიდი ადა ამოღის)

ოსგ. (თავზარ დაცემული ძირს დაეცემა, ეშმაკები ზედ ახტებიან. ნელ-ნელა გონს მოღის) ეს რა ვნახე, თქვენი კირიმე... ვეშაპები თორმეტ თავიანი გველები, ორმოცი ათასი ეშმაკი, ცეცხლი, ალი... ვაი! ვაი! ვაი!.. ლი-დებულო ღმერთო, შენ დამიტარე! (ნელ-ნელა წამოდგება) აი მართლა, კუპრის ქვევრი დგას, კუპრით სავსე დუღს, ვინც გრძა შიგა ყრია და ლობიოს კირკაშივით შიგ ჩუხხუხებენ... ოოო—ვე!.. (ეშმაკს) მაშა გიცხონდა, ერთი ამ ალს უთხარი ცოტა განზე გავიდეს... (ეშ-მაკი ახტება ალს და ალი ნელდება; გარს ეშმაკები არტყიან, ცეცხლის ქაფქირებით სელში, გისაც ამთხველა სურს თავში არ-ტეამენ და უკან აგდებენ) ვა! ეს რასა ვხედავ. ორმოცი ათასი მილიონი კაცი ერთმანეთზე აწყვია, ქვეშიდან ცე-ცხლია მოკიდებული, ასე გონია ქურახანაში აგურსა სწვაშებო. იქითკენაც ერთს დიდ ქვაბში ტყვიას აღნობენ და ჩამჩებით ზოგს პირში ასხამენ, ზოგს ყურში. ერ-თის სიტყვით ენა ვერ მოსთვლის... ვაი! ვაი! ვაი! ეს რაები ვნახე! ადამიანებმა რომ იცოდნენ თუ აქ ამისთა-ნა ამბებია, თავიანთ დღეში არ შესცოდავენ...

დ. ეშმ. აბა, თუ ჭკვიანათ არ იქმნები, შენც იქ ჩაგიძახებთ.

ოსგ. რა ძალა მაქვს, რომ ჭკვიანათ არ ვიყო... ჯერ დაჩუმდი. აქ ნაცნობებიც ყოფილან. ოპ! იოსები ეგ შენა ხარ?

ოსგან ხმა. მე ვარ, მე! მშვიდობით შენი მობრ-ძანება, ოსკან პეტროვიჩ.

ოსგ. აი კარგი დაემართოს ლეკებს, როგორც მე

მშვიდობით მოვსულვარ. (ცალკე) ახარ, მე ვიცოდი, რომ ამ ქურდ-ავაზაკის ბინა აქ უნდა ყოფილიყო და!.. (ისევ უეურებს) აი თათუაც. (უძახის) თათო! თათო!

თათუაც ხმა. რა არის? ჩემი ცოლ-შვილისგან რა ამბავი? როგორ იმყოფებიან?

თხ. ღმერთმა ნუ იცის შენი თავი! (ცალკე) მითოვ გული ძალიან ეწვის ცოლ-შვილისთვის... რაც ჰქონდა და არა ჰქონდა ქალალდში წააგო, მშიერ-მწყურვალი დაყარა ცოლ-შვილი და თითონ-კი ჩაძალდა. ახია, რო აქ მოუყვანიათ. (ისევ უეურებს) აი ბაიყუშოვიც! ქალაქი რომ დაჭირია. ახია შენზე. უყურე, რას ჩადიან, შენი ჭირიმე, ჰა! ჰა! ჰა! ტყვიაში ჰყოფენ და ილებენ, გეგონებათ კახურ ჩურჩელის ავლებენო... (ისევ უეურებს) ვა, გერასიმ იაკულიჩ \*), ეგ შენა ხარ?

გრასიმ თაქულიჩ. (ამოდის ტირილით) მე ვარ, ასკანჯან.

თხ. (წინ მოდის, დიდ ეშმაქს) ვა, ეს რასა ეხედავ! ასე ვთქოთ, თუ ქურდები, ავაზაკები, კაცის მკვლელები, ქვეყნის დამქუცევები აქ მოსულან, ეგ საწყალი გერასიმ იაკულიჩი რაღათ მოგიყვანიათ? ლოცვის მოყვარული, ლვთისნიერი, გლახის გამკითხველი, მარხევასაც კი არ გასტეხავდა ხოლმე თავის დღეში.

დ. ეშმ. მისთვის, რომ გარედან ეგრე ჩანდა, მაგრამ შიგნიდან-კი ვინ არ გინდა, რომ არ მოუტყუილებია.

თხ. რას მიჰქორავ!

დ. ეშმ. მოდი და თითონ ჰყითხე.

თხ. (მიუახლოდება) გერასიმ იაკულიჩ! გერასიმ იაკულიჩ! (ორმოდან ამოდის გრეჩსიმ თაქულიჩ)

\* ) კომედია „ხათაბალი“-ს უმთავრესი გმირი.

## გამოსვლა მეოთხე

ଓସନ୍‌ଟାରୀଆ, ଜୁମିକ୍‌କେବଳ, ସିଙ୍ଗା-ଲୋ-ସିଙ୍ଗା ଫୋଲ୍‌ଡ୍ରାଇଭ୍

თსებან. ვი! (გრკვირგებით) ახარ აქ სად მოგიყვანეს, გერასამ იაკულიჩ. ორა რომ ლვოისნიერი და ეკატლესიის მოყვარე კაცი იყავი!

გერ. თაგ. მოტყუებით მინდოდა ჩემი ქალ - გამეთხოვებინა და ჩემი მთელი სიცოცხლე სიცრუესა და მოტყუებაში გამიტარებია.

ଓ. ৩০৩।

გერ. იაკ. ამისთვის ხომ აქ ჩამოშაგდეს და ეხლა  
ვნახოთ, თუ ჩვენს ქალაქში მოუტყუილებლათ ვინ წაი-  
ყვანს თავის საქმეს. (ჩადის)

თასქ. აფხაზე ჩემო გერასიმ იაკულიჩ, ვინ იფიქ-  
რებდა! (კადევ საცნობსა ჭხედავს) ვაი, ვაი ბატონი ზანგა-  
კოვი. (ეძახის) ბატონო ზანგაკოვ, ბატონო ზანგაკოვ,  
(ორმოდან ამოდის ზანგაკოვი) შენც აქა ხარ! შენ არ  
იყავ, რომ გლოხებს განიკითხავდი ხოლმე?

ԳՏԵՐ ԱՌԱՋԱԿԱՆ ՎՐԱՅԻ ԱՌԱՋԱԿԱՆ ՎՐԱՅԻ ԱՌԱՋԱԿԱՆ ՎՐԱՅԻ  
ԱՌԱՋԱԿԱՆ ՎՐԱՅԻ ԱՌԱՋԱԿԱՆ ՎՐԱՅԻ ԱՌԱՋԱԿԱՆ ՎՐԱՅԻ

თხ. ეგ როგორ იქცევდი, რომ არავის არ ეს  
შოდა?

የዚህ የዕለታዊ ማረጋገጫ አንቀጽ ተስተካክል፤

თსკ. მაჟ ახია შენტე.

დ. ეშმ. ოსკან პეტროვიჩ, რათ გიკვირს! მაგისთან  
ნები ათასობით იმყოფებიან აქა, რომ თქვენ ქვეყანაში  
ჯარგი კაცის სახელი ჰქონიათ და თვითი ცოდნისა-  
თვის კი აი რაძღვი წელიწადია აქ იტანჯებიან... მოდი-  
ოთოთ თითო გაჩვენო; (სხვა ადგილას მაცეულებს) აი უყურე,

ჩარხაწოვი (თრმოდან ამოდის ჩარხაწოვი) თქვენს ქვეყანაში მაგას კარგი სახელი დაუტოვებია, აბა ჰეითხე, რად მოსულა აქა?

თსკ. ბატონო ჩარხაწოვ, აქ რას აკეთებდი? შენ არ იყავ, რომ მაღლის გულისთვის ქვეყანას პურს აჭმევდი და ეკკლესიებს აშენებდი?

ჩარხაწოვ. ქურდების ამხანაგი ვიყავი, მისთვის გავმდიდრდი და ჩემის საღილებით და ვახშებით ხალხს თვალებს ვუბამდი, რომ უფრო კარგათ მექურდნა.

თსკან. მაშახია ზენზე, ეხლა დაიწვი და დაიტანჯე მანდა.

ჩარხაწოვ. ამ წვალებას როგორც იქნება გავუძლებ, მაგრამ ვაი რომ ქვეყანაზე მოსაპარავი ჯერ ბევრი რამ დამრჩა და ჩემმა ამხანაგებმა უჩემოთ უნდა იქეითონ! (ჩადის)

თსკ. ოჟ! ოჟ! ოჟ! აი შე თვალგატეხილო, ხარბო!

დ. ემმ. (თსკანა სხვა ადგილას მიჰეავს) აი ბამბაკოვი (თრმოდან ამოდის ბამბაკოვი), რომელმაც სხვის ფულებით კალიასკები და დროშები გამართა და ხალხს თავის ფული უკან არ დაუბრუნა. აბა ეხლა აქეთ მოღი! (ბამბაკოვი ჩადის) ით კირაკოსა (ამოდის კირაკოსა), რომელიც ხალხის თვალში მართალი მოსამართლე ჩანდა, მაგრამ ვინც ბევრ ქრთამს აძლევდა საქმეს მის სასარგებლოთ სწყვეტავდა. (თრმოდან ამოდის გექილი) აი დავების ყბედი ვექილი, რომელიც ორივე მხრით სარგებლობდა. აი ის ავაზაკი შვილი. (თრმოდან ამოდის ავაზაკი შვილი; კირაკოსა და გექილი თითოთ ერთმანერთს ემუქრებიან და ჩადიან), რომელიც დედამ სახლიდან გააგდო და, რომელ საც ქვეყანა კარგ კაცათ იცნობდა. (სხვა ადგილს აჩვენა)

ნებს) აი მიღდისოვი (ორმოდან ამოდის მიღდისოფი; ზე-ზაქი შეიჭი ჩადის), უსათუოდ გეცნობება ესა.

**თსკ.** (გაჩქარებული მიუახლოვდება და ორივე ხელს მუ-სლებზე დაირტეავს) ვა, ესეც აქა ყოფილა! ამისთანა მარ-თალი კაცი ჩვენს ქალაქში სრულებით არა ყოფილა? (მორიდან მიღდისოფი) ბატონო მიღდისოვ, გზა რად შეგიცვლია, აქეთ სად მოსულხარ? შენ არ იყავ, რომ შვიდჯერ იერუსალიმში წახველ?

**მიღდისოფი.** მართალია შვიდჯერ იერუსალიმში წაველი, მაგრამ ძმა რომ მომიკვდა, მისი ცოლ-შვილი დავჩაგრე და ძმის ყოველი ქონება ხელთ ვიგდე. (ჩადის)

**თსკ.** (ცალკე( მაშ თვალიც მოუთხრიათ, რომ აქ მოუყვანიხართ. (ორმოდან ამოდის ერთი ლამაზი მანდი-ლოსანი) ვა! (ლამაზ მანდილოსანი) ქალბატონო, შენ რა-ლათ მოუყვანიხართ აქა?

**ლამაზი მანდ.** ჩემს ქმარს ვატყუებდი.

**თსკ.** (ცალკე) საბრალო ქმარო, მოდი და გაიგე! (ლამაზი მანდილოსანი ჩადის, მის მაგივრათ ამოდის გონჯი მანდილოსანი, ძალიან მდიდრულათ მორთული) შენ რაღად მობრძანებულხარ, შენც ატყუილებდი შენს ქმარს?

**გონჯი მანდ.** მე ქმარსაც ვატყუილებდი და საყვა-რელსაც.

**თსკ.** აი დედა-მიწამ გიყოს პირი! (გონჯი მანდი-ლოსანი ჩადის) რა ბრიყვები ყოფილან ქმარიცა და საყვა-რელიც! ერთი კაცმა ჰქითხოს, ამას რა ჰქონდა მოსა-ტყუარი? (გონჯის მანდილოსანის უკან მისძახის) აი გველე-ბმა და ეშმაკებმა გაგლოკონ შენ მანდა! (ორმოდან ამო-დის სხვა ლამაზი მანდილოსანი, ძალიან მდიდრულათ ჩაცმუ-ლი) ვა! ვა! ჩემს თვალებს არ ვუჯერებ, განა ეგ შენ

ხარ, ქალბატონო? მთელი სოლოლაკი შენს ქებაშია, შენ აქ რას აკეთებ? იქნება შენც შენს ქმარს ატყუილებდი?

ლამაზი მდიდარი მანდილოსანი. ჩემი ქმარი დიდი-ხანია რაც მომკვდარა. მისგან შეგროვილი ფულებით მე ძალიან წრეს გადავდიოდი ხოლმე: ათ შაურს სარგებელს ვართმევდი.

თხ. ღმერთო შემიწყალე. (მანდილოსანი) შენსავით მდიდარი მანდილოსანი! როგორა ჰყადრულობდი?

ლამ. მანდ. (კოშწიათ) ვით ეშე! მაშ როგორ მე-ცხოვრა, ჩემზე მდიდრები არიან აქა და ჯერ ბევრი კი-დევ მოვლენ. შენი თვალით უველავა ნახავ. (კალთას იქნეს და თავს უბრავს) დო სвидანია! (ჩადის)

თხ. მოდი თქვი: ვინ დაიჯერებდა დედაკაცისაგან ამ გვარ საქმეებს?! (ორმოდან ამოდის ექიმი) ვა! ვა! ვა! ბატონო ექიმბაშო, შენც აქ მობრძანებულხარ! იქნება ავადმყოფისთვის კარგათ ყური არ გიგდია, ან ლოთიანა აქ მოსულხარ რომ მაჯა გამიშინჯო. ეგ როგორ მომხდარა? აქ რა ვინდა, კაცო?

ექიმი. ბევრი გადამირჩენია სიკვდილისაგან, ბევრიც აქ გამომისტუმრებია მამა-პაპის გზაზე. მაგრამ ორ რამეში კი ძალიან კლანჭი გამომკრეს. ვიზიტის ფულს მიგვიანებდენ თუ არა, ან გაჭირვებულები სხვა ექიმს რჩევას ჰყითხავდენ, მაშინათვე ავადმყოფს სიკვდილის ხელში ვაგდებდი და მის პატრონს ვაწუხებდი. შენი ექიმიც მალე აქ მოვა, შენ შეიტყობ, თუ რა ოინი გიყო. (ჩადის)

თხ. ჯანუმსან ექიმბაშო, მაგრამ ის რა თქო?.... ჰო! (ნეკი შირისხევნ მიაქვეს)! ის არის, ის! ეხლა მაგონდება.... კუჭის პირი შემკვროდა, ვერაფერს ვეღარ

ვინელებდი, ის მე ციების წამალს მაძლევდა.... ქინაქინით გამხეთქა, იმ გიუმა, იმან. აი ღმერთმა გყითხოს შენ, ღმერთმა, რა უნდოდა ჩემგან, ან ჩემს ცოლ-შვილის ხელში რად ვარდებოდა? ჩემთვის არხეინად ვცხოვრობდი, აბა ჯერ აქ მოვიდეს, ისე გავხადო ისე რომ.... ღმერთო, დიდებულო! ესე რაები ვნახე და რაები გავიგე აქ, ვაი ვაი! ვაი! მე ფას ამათთან, ამგვარი ცოდვილები!

დ. ეშმაკი. მოდი, რამდენი გინდა კიდევ გიჩვენო.... აი, .... აი.... აი.... კიდევ?... აი.... აი.... (ამოდიან ცოდვილები ქალი და ქაცი ერთი მეორის შემდეგ; მერმე მრავალი ერთად)

თსე ვა! ვა! ვა! ვა! ვა! (დიდ ეშმაკს) კარგი, კარგი, მამა გიცხონდა, ზაპლა ნუ წაილე. (ცოდვილები ჩადას. თსება განაგრძობს) მე ვხედავ, რომ მთელი ქვეყანა აქ მოსულია, მაშ სამოთხეში არავინ არ მიღის?

დ. ეშმ. ათასში ერთი, ისიც თუ მიღის, ლარიბთაგანი; მდიდრები სულ აქ მოდიან.

თსე. (თავს იქნებს ცალკე) ქრისტემ იმიტომა თქოდა! უფრო ადვილია აქლემი ნემსის კუნწში გაძვრესო, ვიდრე მდიდარი სასუფეველში შევიდეს... ვაი იმათი ბრალი.... მაგრამ ჩემი საქმე კი ძრიელ ძნელია, თქვენმა შემ.... რა მოვიგონო, რომ აქედან მოვკურცხლო: (დიდ ეშმაკს) ერთი მითხარი, სამოთხის გზა საით არის?

დ. ეშმ. (სცენის მარჯვნივ აჩვენებს) აი იქით დარჩა.

თსე. (ცალკე) როგორ მოვკურცხლო? (დიდ ეშმაკს) შენ, ეი, ქვემოთ ჩადი და ეშმაკო-მთავარს მოახსენე, რომ მოსულია თქო.

დ. ეშმ. აბა თქვენ რა გაგტეხავთ. აქ იმდენი რამე ნახე შენის თვალით და კიდევ გინდა მომატყუილო? გინდა რომ დამთესო რაღა?

თსკ. (ცალკე) საიდან გაიგო? მართლა რომ ეშმაკი ყოფილა ეს წყეული!

ღ. ეშმ. რა შვილები ხართ! ეშმაკებზე უარესნი, ვაი იმ ეშმაკების ბრალი ვინც თქვენ არ გიცნობთ.

თსკ. მოდი ჩემგან ხელი აიღე, დარწმუნებული იყავ, მე რომ სასუფეველში წავიდე, იქ კეთილს ვილა-პარაკებ შენ შესახებ. იქნება ბოლოს ისევ ანგელოზათ გადაგაქციონ. (ცალკე დაცინებით, სახეს იღმექავს)

ღ. ეშმ. ვინ შეგიშვებს სასუფეველში, რაებსა ბო-დავ.... გიური ვარ რომ ხელიდან გაგიშო. გინდა შენს მაგივრათ მე მტანჯონ!

თსკ. ახ! ღმერთო ჩემო, ნეტავი ისევ ქვეყანაზე წამიყვანო და ჩემს დღეში აღარ შევცოდავ.

ღ. ეშმ. ეგ გულიდან ამოიღე, აღარ შეიძლება.... (მთისმის საშინელი ჭიქა-ქუხილი და ჯაჭვების ედარუნი) აბა მოექმიდე. ეშმაკთ-მთავარი მოდის. (მსწავლე სცენაზე გაიხსნება ჯოჯოხეთი: ორმოდან ამთდის ეშმაკთ-მთავარი, სა-რეცელზე ჭის, გრის შემოხვევიან მრავალი სხვა-და-სხვა გვარისა და სარისხის ეშმაკებრ, ღვევები, კეშაბები და ავი სუ-ლები. ორმოდაც აცვიათ ჯოჯოხეთის ორდენებით შემკული ტანისამოსი.

### გამოსვლა მეხუთე

თსკანა, ეშმაკთ-მთავარი, ეშმაკებრ.

თსკ. (თავზარ დაცემული) უფალო შემიწყოლე, ღმერთო დამიფარე.

ღ. ეშმ. (თსკანას) იქით დადექი, დაგიძახებენ. (ეშმა-

კებბა დიდის წესიერებით და დრმა პატივის ცემით თავს შე-  
რავენ ეშმაკთ-მთავარს და მუხლზე ქვეცნიან)

თსებ. (დრო გამოშვებით და ცალკე ამ ცერემონიის გან-  
მაფლობაში) ვაი! ეს ცერემონიები აქაცა სცოდნიათ!....  
ერთი შეპხედე თუ რაებს ჩადიან.... ჯერ ეშმაკი რა  
არის, რომ მისი ფეხება რა იყოს... აი ეხლა ჩემთვის  
მოიცლიან.

ეშმაკთ-მთავარი. (მუდამ წენარათ და გოროზათ) აბა  
აქ მომგვარეო ეგ კაცი.

დ. ეშმ. (იჭერს თსებანს, რომელიც შიშობს და მიჭ-  
ყავს ეშმაკთ-მთავართან) აი დიდებულო ეშმაკთ-მთავარო,  
ეს ოსკან პეტროვიჩ ირასაწოვია.

ეშმ.-მთ. ვიცი.... (ანიშნებს, რომ თსებანა ხელიდან  
გაუშონ)

თსებ. (განთავისუფლდება დიდ-ეშმაკის ხელიდან. ეშმაკთ  
მთავარს) თქვენო დიდებულებავ, რა ჩამიდენია, ახარ რა  
უნდათ ჩემგან?

ეშმ.-მთ. რა ჩაგიდენია? მაში ის რა იყო, რომ  
დღეში ას-ორმოცდა ათ-ჯერ ტყუილათ ღმერთსა ფი-  
ცულობდი, ქრისტე ჯვარიდან გადმოგყვანდა და საქო-  
ნელს ისრე ასალებდი. (საშინელის სახით, შეჭხდავს აქეთ  
იქით)

თსებ. (ცალკე) ამ წყეულებს საიდან შეუტყვიათ?  
(ეშმაკთ-მთავარს) თქვენო დიდებულებავ, ნუ გჯერათ,  
ჩემზე შარი მოუტანიათ ეშმაკებს.

ეშმ.-მთ. სუ!.... აქაც ტყუი!

თსებ. ვთქვათ, თუ ეგ ეგრეა, სხვა რა ჩამიდენია,  
თქვენო დიდებულებავ.

ეშმ.-მთ. სხვა ისა რომ, როდესაც სასწორს ხელში  
აიღებდი ხოლმე, გახსოვა? რომ ნეკით სასწორის ენას

აბრუნებდი და ბევრი კუთხენილის მაგივრათ მყიდველს  
ცოტას აძლევდი.

თსქ. (ცალბე) ეს წყეულები, ასე გონია სასწორის  
თავზე მდგარანო. (ეშმაკთ-მთავარს) მართალია, თქვენი  
დიდებულებავ, რა ვქნა, რომ ეგენი ჩამიდენია, რაც ცო-  
დვა მქონია, გავნდობილვარ და მომინანია, უცოდველი  
მხოლოთ ღმერთია.

ეშმ.-მთ. მართალია, განდობილხარ, მოგინანია,  
მაგრამ ალალი გულით კი არა. გახსოვს რომ ღვდლის  
წინ დაჩოქილს, განდობის დროს, სული და გული კი-  
დევ ვაჭრობასთანა გქონდა. ეკალესიაში მონანების დროს  
ფიქრობდი ჩქარა გაგეთავებინა მღვდლის დადებული წესი,  
წასულიყავ და დაგეწყო ისევ მოტყუილებით ვაჭრობა.

თსქ. (ტრილით) მართალია, ღმერთო შეგცოდე!  
(თვალებს იწმენდავს)

ეშმ.-მთ. (ეშმაკებს) ეს ჩააყუდეთ დღეში ორჯერ  
ანთებულ ცეცხლში. (თსქანას აკანკალებს) სამჯერ აბანა-  
ვეთ მოღუღებულ კუპრში და, რადგანაც უნდოდა იქაც  
მოეტყუებინა ჩემი პატიოსანი ეშმაკები, თითო-თითო  
ჩამხა დამღნარი ტყვია ჩაასხით პირში. ჯერ გაუშვით,  
ცოტათ აქ იქეიფოს, სხვა საჭირო რამეა.

თსქ. (ცალბე) აი ისრე თქვენ იქეიფეთ. (ეშმაკთ  
მთავარს) ახარ, თქვენი დიდებულებავ!....

ეშმ.-მთ. სუ, გაჩუმდი. (ეშმაკებს). აბა, მოიტანონ  
რაც მითქომს... (ჯღვანეთის ზარი ერთხელა ჰქრავს. ორ-  
მოდან ამოდიან ცეცხლით შემთრტებული თრი სახლით-უხეცესი  
ეშმაკი ემმაკთ-მთავრის მარჯვნივ და მარცხნივ, ხელში უჭი-  
რავთ ცეცხლის ბალიშები, ერთზე დევს ცეცხლის სამგალი,  
მეორეზე ცეცხლის თრდენი ეშმაკთ მთავრის სურათი გმე-  
ლი ჯაჭვით) კარგი.... (დად-ეშმაკს) მომიახლოვდი....

პატიოსნებას... (სახლთ-უხუცეს ეშმაკებს) მოიტუროთია, ნეთ.... (სახლთ-უხუცესი ეშმაკები მოჟახლოვდებიან ეშმაკთ მთავარს, ჭყოცნიან მის მუხლებს და ფეხებს და დაიზებენ მის მარჯვნივ და მარცხნივ) ღიღათ გმადლობ, შენ ღიღო ეშმაკო, ღირსი ხარ ჩემის წყალობისა. (ღიღო ეშმაკი დაიზებენ ეშმაკთ მთავარს წინ და ჭყოცნის მის მუხლს და ფეხებს) ეს ნამგალი შენთვის მიჩუქებია, რომ უფრო აღვილათ მომკო აღამიანები. (აძლევს, ნამგალს ომშეისგანაც მსწრაფლ აღი აფარდება) ესეც ჩემი სურათი, რომ სხვის-თვის მაგალითი იყოს შენი ერთგულობა (მას გულზე ჩამოჭკიდავს ჯოჯოხეთის ორდენს, ომშეისგანაც აღი აფარდება) იცოცხელე.... გაძლიერდი, (თავზე სეჭს დაადებს) ბოროტებით მოიხმარე.

ოსკ. (რაღებ სიმწარით) მე ჯოჯოხეთში მაგდებენ, თითონ კი ფეშქაშებს ირიგებენ! (ღიღო ეშმაკი და სახლთ უხუცესი ეშმაკები რიგ-რიგათ ჭყოცნიან ეშმაკთ-მთავარს მუხლებსა და ფეხებზე; მერე მიდიან და დგებიან თავ-თავიანთ ალაგას. ღიღ ეშმაკს უხარიან)

ეშმ.-მთ. (ეშმაკებს) აბა უთხარით, ამოვიდნენ, გავ-მხიარულდეთ, რომ ახალი ლუკმა მოვიდა ჩვენთვის. (ჯოჯოხეთის ზარი თრჯერ უკრავს. ისმის ეშმაკების მუზიკა; სცენა იგსება თრთა სქესის მოცეკვავე ავი სულებით)

### გამოსვლა მემქნე

იგინივე და მოცეკვავე ავი სულები

ოსკ. (ხან-და-ხან და ცალკე, ავი სულები ჭირიან მის გარეშემო და ეალერსებიან) გული ცოტათ მომივიდა, სწორეთ რომ თეატრისავით თამაშობენ ეს წყეულები.... ახ!

მართაჯან... (დიდ ეშმაკს, რომელიც ამ დროს აღტაცებული შინჯავს ცეცხლის ორდენს) განა ყოველ დღე უნდა ვნახო ესენი აქა?

დ. ეშმ. შენ ვინ გაგიშვებს ჯოჯოხეთილან უკან გასვლის? (დიდის გულწრფელობით ჰქოცნის ცეცხლის ორდენს, რომლისგან ცეცხლის ადამიანის)

ეშმ. მთ. (თამაშობა და მუზიკა შესწევდება, უველანი გაქვაბულნი ჩერდებიან, თსკანას გარდა, რომელიც თან-და თან ვარდება სასო-წარკვეთილებაში) დიდებული ღმერთის განრისხებით, მე ბოროტი ეშმაკ-მთავარი, ჯოჯოხეთის საუკუნო ხემწიფე და მბრძანებელი, — სიბნელის დამცველი და პატრონი, — სინათლის, განათლების, თვალ-ხილულების, თავისუფლების, წყალობის, კაცომოყვარეობის, ყოველ სიკეთისა და ჭეშმარიტების წინააღმდეგი, მოპირ დაპირ და მოურიგებელი მტერი, — სიცრუფისა და მოტყუილების, უსჯულოებისა და ურცხვობის, უნამუსობის და უსვინდისობის, ცბიერებისა და უპირობის, ქურდობისა და ავაზაკობის, მხეცობისა და კაცო-მკვლელობის, ყოველ ბოროტების, ყოველ ურცხვობის მოუსპობელი წყარო, ჩამბერავი და წინამძღოლი. დასაბამილან უკუნისამდე, ვიდრე, ქვეყნიერობა გათავდებოდეს, — ბრძანებით ვიბრძანებთ თქვენ, ჩემთ ერთგულო თანამგზავრებო, ბოროტნო დევნო, ბოროტნო ვეშაპნო, ბოროტნო ანგელოსნო, ბოროტის თანამდებობის პატრონნო, ბოროტ რჩევის მიმცემნო, ბოროტ წალილების აღმსრულებელნო და ყველა ბოროტების პატრონნო ჩაიყვანეთ ეგ, ოსკან პეტროვიჩი, თავის ცოდვების გამო ჯოჯოხეთში, იქ დასტოვეთ უკუნითი უკუნისამდე და აღასრულეთ რაც რომ მაგის შესახებ წელან ვიბრძანეთ! (ჯოჯოხეთის სანახაობა უფრო იგზნება) „იქ იქნება ტირილი“

და კბილთა ღრმენა”! (ეშმაკთ-მთავარი ანიშნებს, ავი სუ-  
ლები ისევ თამაშობენ; ჯოჯოხეთის ზარი სამჯერ დაჭირავს  
უფრთ ძლიერათ და ჩქარათ) აბა! (ეშმაკები მოიტაცებენ.  
ოსკანას და აუგანილი მიჭეავთ სცენის სიღრმისკენ)

ოსკ. ვაიმე, დედიჯან, ვაიმე! მიშველეთ, ვინ არის  
ქრისტიანი. (ეშმაკები მას ჯოჯოხეთში აგდებენ)

ფ ა რ დ ა

### ს ა ხ ე ლ ს ა ხ შ ე თ:

ლურჯი ხელსახოცი (ოსკანას), ორი ბალიში—  
ერთხედ დევს ნამგალი მეორეზე ორდენი გერადათ გამ-  
ნათებელი (ბენგალის) ცეცხლი (სცენაზე სახმარათ).

შენიშვნა: წარმოდგენის დროს დაცული უნდა  
იქმნას წესიერება: ეშმაკები და სხვა მომქმედი პირნი  
ერთმანეთს არ უნდა უშლიდნენ ლაპარაკსა და მოძრა-  
ობას. ეშმაკებსა და ავსულებს აცვიათ თავით-ფეხამდე  
წითელი ტანისამოსი თავზე რქებით; ეშმაკთ-მთავარს  
სხვებთან შედარებით, ბრწყინვალე ტანისამოსი. ოსკანასა  
და სხვებს თავ-თავიანთი წოდებისა და მდგომარეობის  
შესაფერი ტანისამოსი.

სოფლისა და სხვა არა მოძრავ სცენებზედ, სადაც  
არ მოხერხდება სცენის ქვეით ჩასვლა-ამოსელა, შეიძლება  
მომქმედნი პირნი გვერდებიდან შემოვიდ-გავიდნენ.—სცე-  
ნის გასანათებლად-გასაელვარებლად იხმარება ფერადათ  
გამნათებელი (ბენგალის) ცეცხლი.

გამომცემელი